

GEORGIAN SYMBOL OF THE OLD YEAR

ძველი წლის ქართული სიმბოლო

Nugzar Antelava

Doctor of History,
Circassian (Adyghian) Cultural Center.
Tbilisi, Georgia.

ORCID ID: 0009-0003-4321-1238

(+995) 577 09 29 61; antelavanugzar@gmail.com

Abstract

The paper discusses the New Year (Christmas) traditional customs still observed in a number of parts of the highlands and lowlands of Georgia, as well as among the peoples of the Caucasus and Europe, related to so-called New Year (Christmas) **large log**. It is thought that this ritual is a staging of an archaic myth according to what in order to overcome the chaos created on the border of the old and new years and to establish a cosmic order the deity of thunder pierces with fire the snake, which opposes world harmony. According to Georgian data, there is no doubt that the Svan New Year log *ჭული* and the Eastern Georgian logs – *beberaj* and *satari* are the symbols of the old year.

Key words: myth, chaos, ritual, cosmic order.

ნუგზარ ანთელავა

ისტორიის დოქტორი

ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის
მეცნიერ-კოორდინატორი.

ORCID ID: 0009-0003-4321-1238

(+995) 577 09 29 61; antelavanugzar@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს მთიანეთსა და ბარის რიგ კუთხეებში, აგრეთვე, კავკასიისა და ევროპის ხალხებში დღემდე დაცული საახალწლო (საშობაო) წეს-ჩვეულება, დაკავშირებული ე. წ. საახალწლო (საშობაო) მორთან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული რიტუალი წარმოადგენს არქაული მითის - ჭექა-ქუხილის ღვთაების მიერ სამყაროული ჰარმონიის მოწინააღმდეგე გველის ცეცხლით განგმირვის ინსცენირებას, რითაც უნდა დაიძლიოს ძველი და ახალი წლების მიჯნაზე წარმოქმნილი ქაოსი და დამყარდეს კოსმიური წესრიგი. საკუთრივ ქართული მონაცემებით, ეჭვგარეშეა, რომ სვანური საახალწლო მორი - ჯული და აღმოსავლურ-ქართული მორები - ბებერა და სათარი - ძველი წლის სიმბოლოებია.

საკვანძო სიტყვები: მითი, ქაოსი, რიტუალი, კოსმიური წესრიგი.

შესავალი

არქაულ მითოპოეტურ და რელიგიურ ტრადიციაში გარკვეული დროის მონაკვეთს განსაკუთრებული კავშირი აქვს საკრალურ სფეროსთან, რომელშიც მთელი სოციუმი მაქსიმალურად არის ჩართული. ეს დღესასწაულების პერიოდებში ხდება, ანუ დღესასწაულების არსებით და განუყოფელ მახასიათებელს მისი საკრალურობა წარმოადგენს. საკრალურობისა და დღეობის კავშირი თავის არქაულ ფორმებში გარდაუვალი აუცილებლობაა. შეიძლება ითქვას, რომ საკრალურია ის, რაც დღესასწაულის არსში, მის ბირთვში დევს.

დღეობის აზრი და ფუნქცია ყველაზე სრულად ვლინდება მოცემული ტრადიციის მთავარ დღესასწაულში, რომელიც ძირითადად კრიტიკულ მომენტში, ძველი და ახალი წლების ზღვარზე ხორციელდება. მთავარი დღესასწაულის კომპოლექსში შემავალი ბევრი წეს-ჩვეულება და ატრიბუტი სხვა დღეობების მახასიათებელიცაა, მაგრამ ისინი ერთიანად მხოლოდ ძველი და ახალი წლების მიჯნაზეა თავმოყრილი. მთავარი დღესასწაული იწყება სამყაროს კატასტროფის მოლოდინის გამწვავებულ და დამაბულ სიტუაციაში. ძველი სამყარო, ძველი დრო, ძველი ადამიანი „დაუმღურებულია“ და მათ დაცემა, სიკვდილი ელოდება. ქაოსის ძალები ცდილობენ კოსმიური წესრიგის განადგურებას. სიცოცხლისა და ნაყოფიერების ძალები, თითქოს, ენერჯისგან დაცლილია და კვდებიან. ასეთ ვითარებაში სამყაროს ხსნა მხოლოდ სასწაულს შეუძლია, შესაქმის ტოლფარდ სასწაულს, როცა ქაოსი დაიძლია და ქვეყნიერებაზე კოსმიური ჰარმონია დამყარდა. ამიტომ იდეალური სიზუსტით უნდა აღდგეს პრეცედენტი, ანუ ის, რაც „დასაწყისში“, „პირველ ჯერზე“ მოხდა. საამისოდ აუცილებელია სათანადო პირობები: საჭიროა განისაზღვროს ის ადგილი და დრო, სადაც პრეცედენტი უნდა განმეორდეს, ე. ი. მოიძებნოს შესაბამისი სივრცობრივი ცენტრი და წერტილი დროში, ანუ პროფანულ ხანგრძლივობაში ის შესვენება, როცა დრო არ არსებობს. შემდეგ კი იწყება რიტუალი, რომელმაც უნდა დაძლიოს, გაანადგუროს ქაოსის შემოქმედნი და შეუდგეს პრეცედენტის განმეორებას, რაც სასურველ შედეგს დააყენებს. მრავალთაგან ერთ-ერთი ასეთი, მითით ინსცენირებული, რიტუალი არის საახალწლო / საშობაო მორთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება, რომელიც მსოფლიოს მრავალ ხალხში, მათ შორის ქართველებში დღემდე შემორჩა.

მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება გენეტიკურ მეთოდებს, როგორც მითოსური აზროვნების საკუთარ მეთოდებს, აზროვნებისა, რომელიც ყოველთვის ერთიან, შეკრულ ხატზეა დაფუძნებული (და არა მის ცალკეულ პარამეტრზე, რის გამოც ბინარული ოპოზიციები მითის გაგებაში ვერ გვეხმარება) და, როგორც წესი, რაღაცის შექმნას გვაუწყებს. შერჩეულია მითოლოგიის კლასიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მისი განვითარების შემეცნების ლოგიკას ითვალისწინებს, ხელს უწყობს კულტურის სიმბოლოების ადეკვატურ გააზრებას და საშუალებას იძლევა, კვლევით პრაქტიკაში უფრო კორექტულად გამოვიყენოთ სიმბოლოთა ცოდნის დარგები. რამდენადაც

მითი და რიტუალი დაკავშირებულია ფუნქციონალურ და ფასეულობით მახასიათებლებთან, მითისა და რიტუალის არქექტიპთა დაზუსტებისათვის გამოყენებულია ფუნქციონალურ-ისტორიული და აქსიოლოგიური, ასევე სტრუქტურული მეთოდები.

შედეგები

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მორის, როგორც გველის განმასახიერებელის, დაწვასთან დაკავშირებული საახალწლო (საშობაო) რიტუალი წარმოადგენს არქაული მითის - ჭექა-ქუხილის ღვთაების მიერ სამყაროული ჰარმონიის მოწინააღმდეგე ძალის ცეცხლით განგმირვის ინსცენირებას.

მსჯელობა და დასკვნა

სვანები ახალი წლის წინა დღეს, რომელსაც შუშხვამს || ეშხვამს || ეშხვამს უწოდებდნენ, ტყეში ნაძვის, კაკლის ან მსხლის ხეს მოჭრიდნენ, გასხეპავდნენ. ასე დაამზადებდნენ ჯულს - საახალწლო მორს. მეორე დღეს „... ორი მამაკაცი გაიდებდა მხარზე ჯულს, რომლის შუა ადგილზე ბავშვს მოათავსებდნენ (ბავშვი თუ ბიჭი იყო, მაშინ ჯულს მხედრულად გადააჯდებოდა, გოგო კი მას მუცლით გადაეკიდებოდა) და ყველანი სახლში შედიოდნენ. კერიას გარს უვლიდნენ და თან გაიძახოდნენ: „ბომბლა, ბომბლა, ბეღლის კარზე დატვირთული, რიჩხ!“ ჯულზე შემჯდარ ბავშვს ყოველი მხრიდან ბჭვენდნენ და ჩხვლეტდენ ისე გამეტებით, რომ ხშირად იგი ატირებოდა ხოლმე. ჯულს რომ კერიის გარშემო შემოატარებდნენ, შემდეგ სგირის (სახლის ქვემო სართულის - ნ. ა.) აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მივიდოდნენ და მის წინ ჯულის მზიდავნი უეცრად დაეცემოდნენ მიწაზე და ბავშვიც გადმოვარდებოდა. განთავისუფლებულ ჯულის ერთ ნაჭერს კერიაში შეუკეთებდნენ, სადაც ის ნელ-ნელა უნდა დამწვარიყო, მეორეს - ლიფანალისთვის (მიცვალებულთა დღისთვის - ნ. ა.) შეინახავდნენ, ხოლო მესამე პატარა ნაჭერს - მომავალ კანდამდე (ახალწლამდე - ნ. ა.). ოჯახის უფროსი მივიდოდა ცეცხლში შეკეთებულ ჯულის ნაჭერთან, ჩაცვუქვებოდა, ჯულის ნაპირზე ნაჭმხუნ-ს (ღორისქონიან კვერს - ნ. ა.) მოათავსებდა და შეუდგებოდა დანით მის ჩხვლეტას სიგრძესა და სიგანეზე ჯვრის სახედ. ამ დროს ის გაიძახოდა:

ყველა ღმერთის წყალობა, ყველა ღმერთის წყალობა,
დიდი ღმერთის წყალობა, დიდი ღმერთის წყალობა,
ადამიანის მშვიდობიანობა, ადამიანის მშვიდობიანობა,
საქონლის სიმრავლე, საქონლის სიმრავლე,
ეს ხორბალი, ეს ხორბალი, ეს ხარი, ეს ხარი,
ეს ფური, ეს ფური, ეს ცხვარი, ეს ცხვარი,
ეს ცხვარი, ეს ვაჟკაცი,
ეს ქალი, ეს ქალი,
ეს კიდობანი, ეს კიდობანი ...

და მრავალ სხვა სიკეთეს ჩამოთვლიდა. სვანს ეგონა, რომ რაც უფრო მეტჯერ გაიმეორებდა თითოეული მათგანის სახელს და რაც უფრო მეტჯერ დაჩხვლეტდა ნაჭმხუნ-ს, იმდენად მეტი რაოდენობით და სიუხვით

ექნებოდა წლის განმავლობაში ჩამოთვლილი სასურველი სიკეთე. ბოლოს ჯვარედინად დაჩხვლეტილი კვერი ოთხად გაიჭრებოდა. ამას ელოდნენ მაყურებლებიც, მაშინვე მიცვივდებოდნენ და კვერის ნაჭრებს დაიტაცებდნენ. ნაჭმუნის შეჭმის შემდეგ, სტუმრები სტოვებდნენ ოჯახს და ზოგი თავის სახლში წავიდოდა, ზოგი კი მეორე მეზობლის კარ-მიდამოს მიაშურებდა ჯულ-ის შეტანის წეს-ჩვეულების შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად“ (ბარდაველიძე, 1939: 131-132). მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ფარში ჩაწერილი ეს რიტუალი სვანეთის სხვა სოფლებში გავრცელებულ ჯულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს.

ზემოაღწერილის იდენტური რიტუალი, დამოწმებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ბებერაჲს“ (ქართლში „სათარის“) სახელითაა ცნობილი. ბებერაჲ ანუ ტყეში მოჭრილი იფნის, მსხლის, ვაშლისა თუ სხვა ჯიშის ხის კარგად გასხეპილ-გასუფთავებული მორი უნდა ყოფილიყო. მთიულეთში ბებერაჲზე აცხობდნენ ბედისკერებს; გუდამაყარში, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, ერბო-თაფლწასმულ („წელს ეს მოგვირთმევია, კულა სხვას მოგართმევთ-ო“) და ცეცხლში ჩადებულ ბებერაჲს წვის პროცესში ნაპერწკალი არ უნდა გავარდნოდა (გაცვენილი ნაპერწკალი ავის მომასწავებელი იყო). გუდამაყარში და ერწო-თიანეთშიც იცოდნენ ბებერაჲზე მომდიმარი ბიჭის, როგორც ბერ-მეკვლის, მხედრულად დასმა და დიალოგის გამართვა: შეკითხვაზე „რა მოგაქვს?“, ბერი (ბიჭი) პასუხობდა: „ღალიანობა, პურიანობა, წულიანობა, მშვიდობიანობა, მრავალი ახალი წლის დასწრება როგორც კაცით და საქონლით, ისე ნახნავ-ნათესით“. მთიულეთში ბებერაჲს ტოტს ახალი წლიდან წყალკურთხევამდე ინახავდნენ, წყალკურთხევაზე კი დიასახლისი ბებერას ტოტს ახალწლიდან დაგროვებულ საქონლის ნაკელზე „დააყუდებდა“, ჩალას მიაყრიდა და ცეცხლს წაუკიდებდა (გიორგაძე, 1984: 132-133).

ჯულისა და ბებერაჲს რიტუალების გამოძახილია საახალწლო მკითხაობა-შეჯიბრის ერთი მეგრული წეს-ჩვეულება, რომელიც, თავის დროზე, თ. სახოკიამ აღწერა: „... ბასილას (საახალწლო პურს - ნ. ა.) სდებენ ბუკზე, ხოლო ცეცხლზე დაიჭერენ თხილის ჯოხს. ამ ჯოხის ერთი თავი მამრობითი სქესისას უჭირავს, ხოლო მეორე თავი - მდედრობითისას. როცა შუა ნაწილი ჯოხისა გაიწევა, და თითოეულს ჯოხის თითო ნახევარი შერჩება, ჯოხის ამ ნახევრით გარეთ გამორბის და ცდილობს, მეორე კარიდან პირველი შემოვიდეს სახლში. შემოვა თუ არა, ეს მივარდება ბასილას და დიდ ნაწილს მოსტეხს და ამნაირად გამარჯვება იმას დარჩება... ამ ჯოხნა-დამარცხებით შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ მომავალი წელიწადი რამდენად მოსავლიანი იქნება. თუ აჯობა მამაკაცმა - ამ წელიწადს სამამაკაცო საქმე ზღვად გასკდება: სიმინდი, ღვინო ბევრი მოვა, ხოლო თუ ქალმა გაიმარჯვა, უნდა მოველოდეთ „საქალო საქმის გამარჯვებას: უხვი მოსავალი იქნება აბრეშუმის პარკებისა, შინაური ფრინველი გამრავლდება, საჩოხე შალებს ბევრს მოქსოვენ ქალები და სხვადასხვა“ (სახოკია 1956: 48-49). სამეგრელოს რიგ რაიონში, სადაც ჯოხის (მას გველის ტაბუირებული სახელი - შურდინაფილი - „სულდაკარგული“ - ჰქვია) ნახევრებს ეზოს გარეთ აგდებენ, „სულდაკარგულის გადაგდება“ (შურდინაფილიმ გინოოთამა) უწოდებენ (ანთელავა, 2017: 821).

ჯულისა და ბებერადას იდენტურია ოსური დარან-ყადი (ჩიბიროვი, 1976: 89; უარზიათი, ჩიბიროვი, 2012: 398-399), ჩეჩური გულა (ილიასოვი, 2009: 37-38) და ინგუშური ნაჯი (მადაევა, 1990: 78-79; ტანკიევი 1998: 112-116).

ქართულ, ოსურ, ჩეჩურ და ინგუშურ საახალწლო მორთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების ანალოგიურია ევროპის ხალხებში, განსაკუთრებით სამხრეთის სლავებში (სერბებში, ხორვატებში, სლოვენებში, ბულგარელებში) „ბადნაკის“ || „ბადნაკის“ || „ბადნიკის“, ლიტვლებში „ფერფლის დღის“, უკრაინელებში „მორის“ სახელწოდებებით ცნობილი რიტუალები. მაგალითად, სერბებში მზის ამოსვლამდე ან მისი ჩასვლის შემდეგ ტყეში საზეიმოდ ჭრიდნენ მუხის ხეს, რომელსაც სამად ან იმდენ ნაწილად ყოფდნენ, რამდენი მამაკაციც იყო ოჯახში, და სახლში მზის ჩასვლის შემდეგ შექონდათ, ზედ ღვინოს, რძეს, თაფლს ასხამდნენ და ხორბლის მარცვლებს აყრიდნენ, შემდეგ ნელ-ნელა წვავდნენ (ზოგჯერ მთელი ორი დღე-ღამე), გამეტებით ურტყამდნენ (მახილით: „ძველო ბადნაკო“ – Стари Баднак) და „ახალგაზრდა ბოჟიჩს“, „ახალგაზრდა ღმერთს“ (Мали Божић, Млади Бог) ოჯახის ბედნიერებასთან ერთად, გაცვენილი ნაპერწკლების რაოდენობის ხარს, ცხენს, თხას, ღორს, სკას და სხვ. თხოვდნენ (ივანოვი, ტოპოროვი, 1974: 228-235; ივანოვი, ტოპოროვი, 1980: 150).

დაბერებული ბადნაკის || ბადნაკის (Стари Баднак), როგორც ძველი წლის განმასახიერებელი პერსონაჟის („ძველი ღმერთის“) საპირისპირო სახეა სამხრეთსლავური მითოლოგიური პერსონაჟი ბოჟიჩი (Млади Божић), დაკავშირებული ახალგაზრდობასთან, შობა-ახალწელთან (ივანოვი, ტოპოროვი, 1980: 181). ბოჟიჩის იდენტური პერსონაჟია ქართული ბერი, რომელსაც ძველ, „დაბერებულ“ წელიწადზე ბებერაზე || ბებერაზე და ძველი წლის სიმბოლოზე ჯულზე გადამჯდარი ბერ-მეკვლე ბავშვები განასახიერებენ. სწორედ ამიტომ ბებერადას შემოტანის შემდეგ, ოჯახის უფროსსა და დიასახლისს შორის გამართულ დიალოგში აღნიშნულია, რომ მოდის ბერი ბერობითა, რომელმაც ოჯახში „კაციანობა, საქონიანობა, კარგა ყოფნა და მხიარულება“ უნდა მოიტანოს.

ქართველი მკვლევრები საახალწლო მორს ფალოსის სიმბოლოდ განიხილავენ (ბარდაველიძე, 1953: 113-118; ბარდაველიძე, 1957: 187; რუხაძე, 1976: 171; სურგულაძე, 1986: 142; ღამბაშიძე, 2004: 100-101 და სხვ.). ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს მორის ფორმა და ზოგიერთ რიტუალში მისი სემანტიკა, მაგალითად, მეგრულ საქორწილო წეს-ჩვეულებათა კომპლექსში მოქმედი თავწამახული მორი ე. წ. „სიძის შეშა“ (სინჯაში დიშქა) აშკარად ფალოსზე (უფრო ზუსტად სიძის პენისზე) მიუთითებს. ქორწილიც და ახალი წელიწადიც ნაყოფიერების მოლოდინის დროა, როცა ფალიური ღვთაებები და სიმბოლოები აქტიურდებიან, მაგრამ ჯულთან და ბებერადასთან, ისევე როგორც, ზოგადად, საახალწლო მორთან დაკავშირებული რიტუალები არქეტიპული მითოლოგიის გამოძახილია და მათი ნაყოფიერებასთან კავშირი გვიანდელი გადააზრების შედეგია. ის რომ მორი, ჯოხი არ არის მარტო ფალოსის სიმბოლო, კარგად მიაჩნებოდა ერთი აჭარული ხალხური დღეობა ე. წ. გარგნობა, რომელიც გველებისგან დაცვას ეძღვნება. იგი წითელ პარასკევს - აჭარულ ბზობას (მაჭახლის ხეობაში

ძველი სტილით აპრილის პირველ პარასკევს - ზღვის კაცის გამოსვლის დღეს) ემთხვევა; იკრძალება შეშის მოტანა, რადგან, ადგილობრივთა რწმენით, გარგნობის დღეს გველები მოგზაურობენ, და მათი შიშით ტყეში ვერავინ შედის; გარგნობაზე სახლში შეტანილ შეშას გველი მოჰყვება და ოჯახს მთელი წელიწადი არ მოშორდება. „გარგნობა“ ტერმინი უკავშირდება აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში დადასტურებულ სიტყვას გარგანა „დიდი ჯოხი“, „მორი“ და გააზრებულია, როგორც გველის სომბოლო (თანდილავა, 1978: 30) (ნოლაიდელი, 1971: 62).

ი. ტოპოროვის მიერ განხორციელებული ლინგვისტური ანალიზით, სავსებით მართებულად არის დადგენილი სერბულ-ხორვატულ-სლოვენურ-ბულგარული ბადნაკის ეტიმოლოგია - „გველი“ (ტოპოროვი, 1976: 9-10). როგორც ჩანს, ასეთივე ეტიმოლოგიზირების საშუალებას იძლევა სვანური ჯულიც. ჰ. ფეინრიხისა და ზ. სარჯველამის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ გაზიარებულია გ. კლიმოვის თვალსაზრისი და ხვლიკის ამოსავალ ფორმად აღდგენილია *მხულ-:

ქართ.: მ ხ უ ლ- მ ხ უ ლ-ივ-ი „ხვლიკი“; ხვლ-იკ-ი (ახ. ქართ.)

მეგრ.: ხ ვ ი ლ- || ხ ო ლ- || ხ ვ ე ლ- ხვილ-არ-ი || ხველ-არ-ი || ხოლ-არ-ი „ხვლიკი“.

ლაზ.: მ ხ ო ლ- || ხ ო ლ- მხოლ-ურ-ე || ხოლ-ურ-ა „ხვლიკი“ (ფეინრიხი, სარჯველაძე, 1990: 347).

ტ. ფუტკარაძე უეჭველად მიიჩნევს სახელ ხვლიკისა და მისი მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტების მომდინარეობას *ხ უ ა ლ- არქეტიპისაგან (ფუტკარაძე, 1996: 267-271). არ არის გამორიცხული, რომ სვანური ჯულისთვისაც ეს არქეტიპი იყოს ამოსავალი. ჯულის, როგორც ხვლიკისა თუ გველის, სემანტიკურ წრეში შემოდის სვანური ჯურუ „ხვრელი“ (<- ხურელი), ხოლა „ცუდი“ და სხვ. აჭარული გველის დღის, „გარგნობისა“ (გარგანა - „დიდი ჯოხი“) და მეგრული საახალწლო მკითხაობა-შეჯიბრის სახელწოდების გარდა, ამ თვალსაზრისის სისწორეზე უნდა მიუთითებდეს ტერმინ ბებერაძს, როგორც ძველი წლის სიმბოლოს, მნიშვნელობებიც: „მოხუცებული“, „დიდი ხნის“, აგრეთვე, „აბურცული წყალჩამდგარი წყლული ხელზე“, „ობობა“ (შდრ. აბებრება - კანის აბურცება, ტყავის აბურცება; დაბებრება - აბებრება, ტყავთ დაბურცება, ტყავის ადგომა, წყლულთ დაბურცება (საბა). არც ისაა შემთხვევითი, რომ რიტუალის ადგილია კერა, საკრალური ფოკუსი (შდრ. ლათინური focus - „კერა“), ანუ ცენტრი (შუაგული), სადაც ჯვარჩენასთან დაკავშირებული ანდრეზული ტრადიციით ამოდის იფნის ხე, რომელსაც გველი მოჰყვება (კიკნაძე, 1985: 40-47). აქვე უნდა ითქვას, რომ ბერძნულ ტრადიციაში საშობაო ხეს დემონის - სკარკანმალის - სახელი ჰქვია (ჩიოხა, 2018: 243, 248), შესაძლოა ამიტომაცაა, რომ დასავლეთ სერბიაში, აღმოსავლეთ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ჩერნოგორიაში საშობაო მორის სახელი ტაბუირებულია და მის აღსანიშნავად ევფემიზმებს იყენებენ (პლოტნიკოვა, 2004: 97)

ამდენად, ვფიქრობ, რომ ორივე საახალწლო მორი (ჯული და ბებერაძ) რიტუალში გველს განასახიერებს, ხოლო საკუთრივ რიტუალი არქაულ მითოლოგიის - მსოფლიო ხის ფესვებთან მობინადრე გველის ცეცხლით

(და/ან ჭექა-ქუხილის ღვთაების სხვა იარაღით - ცულით, შუბით, კომბლით და ა. შ.) განგმირვის ინსცენირება (ანთელავა. 2017: 823). ბებერადასა და ბერის, ისევე როგორც ძველი ბადნაკისა და ახალგაზრდა ბოჭიჩის, ბინარულ დაპირისპირებაში შეიძლება, ჩვენთვის საინტერესო მითის წყვილი გმირების - გველისა და მისი მოწინააღმდეგის (ჭექა-ქუხილის ღვთაების) - ტრანსფორმირებული ურთიერთობა დავინახოთ; პირველს ეკუთვნის ძველი წლის უკანასკნელი დღე, მეორეს - ახალწლის პირველი დღე, როცა კოსმიური, მაორგანიზებული საწყისი იმარჯვებს. მითით ინსცენირებულ რიტუალში იოლი გასაგები ხდება, თუ რატომ ბჭკენენ და ჩქმეტენ გამეტებით ჯულზე შემჯდარ ბავშვს, რატომ ჩხვლეტენ ჯულის ლემზირს - ნაჭმხუნს, რატომ დაათრევენ ლიტველები კარდაკარ მორს სკაბრეზული შემახილებით, რატომ ხდება უკრაინულ რიტუალში მორის სიკვდილისა და გაცოცხლების ინსცენირება: საახალწლო დღესასწაულის ადრეულ რიტუალურ სისტემებში სამსხვერპლო ცხოველსა თუ ადამიანს კლავდნენ, ანაწევრდნენ და სხვადასხვა ადგილზე ფანტავდნენ იმ აზრით, რომ საბოლოოდ ქაოსი დაემკვიდრებიათ (მხოლოდ ქაოსიდან იყო შესაძლებელი შესაქმის დაწყება, ქაოსის ძალების თანდათანობითი დამლევა და მის პარალელურად მიმდინარე სინთეზირება კოსმოსისა); შემდეგ მსხვერპლის ნაწილებს, რომლებსაც კოსმოსის ელემენტებთან აიგივებდნენ, კვლავ შეკრებდნენ და შეაერთებდნენ. სამყაროს ხატება მსხვერპლის სახით, თითქოს, იცვლება არარაობიდან აღმდგარ რეალურ სამყაროზე, რომელშიც ბრუნდება ორგანიზებულობა, ნაყოფიერება, სიცოცხლე, აღორძინება; იქმნება ახალი ქვეყნიერება, ახალი დრო, ახალი სოციუმი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

antelava, n. (2017). *kavkasiis khalkhta mitebi da ritualebi. tbilisi*. (ანთელავა, ნ. (2017). *კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები*. თბილისი.).

bardavelidze, v. (1939). *svanur khalkhur dgheobatha kalendari. I. axalchlis tcikli*. tbilisi. (ბარდაველიძე, ვ. (1939). *სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი*. ტფილისი).

bardavelidze, v. (1953). *qartuli (svanuri) sacheso grafikuli xelovnebis nimushebi*. tbilisi. (ბარდაველიძე, ვ. (1953) - *ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები*. თბილისი).

Bardavelidze, V. (1957). *Drevneishie religioznie verovania i obriadovoe graficheskoe iskusstvo gruzinskix plemion*. Tbilisi. (Бардавелидзе, В. В. (1957). *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен*. Тбилиси).

giorgadze, d. (1984). *axali chlis dgheobata tcikli aghmosavlet saqartvelos mtianetshi (ctkhalkurtxeva). matsne. istoriis, arqeologiis, etnologiisa da khelovnebis istoriis seria. №2*. tbilisi. (გიორგაძე, დ. (1984). *ახალი წლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (წყალკურთხევა)*. *მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 2*. თბილისი).

tandilava, z. (1978). masalebi mesefebze. *samxret-dasavlet saqartvelos zepirsit-khviereba*. № 4. tbilisi. (თანდილავა, ზ. (1978). მასალები მესეფებზე. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება*. № IV. თბილისი.)

Ivanov, V.V. Toporov, V.N. (1974). *Issledovania v oblasti slavianskix drevnostei. Leksicheskie i frazeologicheskie voprosi rekonstrukcii tekstov*. Moskva. (Иванов, В. В. Топоров, В. Н. (1974). *Исследования в области славянских древностей. Лексические и фразеологические вопросы реконструкции текстов*. Москва)

Ivanov, V.V. Toporov, V. N. (1980). Bozhich. *Mifi narodov mira*. I. Glavni redactor S. A. Tokarev. Moskva. (Иванов, В. В. Топоров, В. Н. (1980) Бадняк. *Мифы народов мира*. I. Главный редактор С. А. Токарев. Москва.)

Plisov, L. (2009). *Kultura chechenskogo naroda*. Moskva. (Ильясов Л. (2009). *Культура чеченского народа*. Москва.)

kiknadze, z. (1985). *Qartul mitologiur gadmotcemata Sistema*. tbilisi. (კიკნაძე, ზ. (1985). *ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა*. თბილისი.)

Madaeva, Z. A. (1990). *Narodnie kalendarnie prazdniki vainaxov*. Grozni. (Мадаева З. А. (1990). *Народные календарные праздники вайнахов*. Грозный.)

noghaideli, j. (1971). *narkvevebi da chanacherebi*. I. batumi. (ნოღაიდელი, ჯ. *ნარკვევები და ჩანაჩერები*. I. ბათუმი.)

Plotnikova, A. A. (2004). *Etnolingvističeskaja geografia Iujnoi Slavii*. Moskva. (Плотникова А. А. (2004). *Этнолингвистическая география Южной Славии*. Москва.)

ruhadze, j. (1976). *khalkhuiri agrikultura dasavlet saqartveloshi*. tbilisi. (რუხაძე, ჯ. (1976). *ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში*. თბილისი.)

saxokia, t. (1956). *etnografiuli natcerebi*. tbilisi. (სახოკია, თ. (1956). *ეთნოგრაფიული ნაწერები*. თბილისი.)

surguladze, i. (1986). *Qartuli xalxuri ornamentis simbolika*. tbilisi. (სურგულაძე, ი. (1986). *ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა*. თბილისი.)

Tankiev, A. Kh. (1998). *Ingushi*. Saratov. (Танкиев А. Х. (1998). *Ингуши*. Саратов.)

Toporov, V. (1976). Πύθων. Ahi budhnya. Badniak i dr. *Etimologia*. Moskva. (Топоров В. Н. (1976). Πύθων. Ahi budhnya. Бадняк и др. *Этимология*. Москва.)

Uarziati, V. S. Chibirov, L. A. (2012). *Kalendarnaia i prazdnichnaia obriadnost. Osetini. Seria "Narodi i Kulturi"*. Moskva. (Уарзиати, В. С. Чибиров Л. А. (2012). *Календарная и праздничная обрядность. Осетины. Серия «Народы и культуры»*. Москва.)

feirnixi, j. sarjveladze, z. (1990). *qartvelur enata etimologiuri leqsikoni*. Tbilisi. (ფეინრიხი, ჯ. სარჯველაძე, ზ. (1990). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი).

putkaradze, t. (1996). khvlik, svlik fudzeta istoriisatvis (qartvelur enata dialeqtetbis mixedvit). *Saenatmecniro dziebani*. V. tbilisi. (ფუტკარაძე, ტ. (1996). ხვლიკ, სვლიკ ფუძეთა ისტორიისათვის (ქართველურ ენათა დიალექტების მიხედვით). *საენათმეცნიერო ძიებანი*. V. თბილისი.).

ghambashidze, n. (2004). *axalchlis dgheobata tcikli aghmosavlet saqartveloshi (ercho-tianeti)*. tbilisi. (ღამბაშიძე, ნ. (2004). *ახალჩლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი)*. თბილისი.).

Chibirov, I. A. (1976). *Narodni zemledelcheski kalendar ocetin*. Chxinvali. (Чибиров Л. А. (1976). *Народный земледельческий календарь осетин*. Цхинвали).

Chioxa, O. (2018). Grecheskie paralleli k slavianskomu badniaku. *Materiali po russko-slavianskomu iazikoznaniu: Mejdunarodni sbornik nauchnix trudov*. Vip. 34. Voronejhc. (Чёха О. В. (2018). Греческие параллели к славянскому бадняку. *Материалы по русско-славянскому языкознанию: Международный сборник научных трудов*. Вып. 34. Воронеж.)